ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

# 10 ერთიანი საქართველო ყველა თაობისთვის!

- ✓ შვილებს - განათლება,
- ✓ მშობლებს - დასაქმება,
- ✓ პენსიონერებს - დაფასება!

# 1 ერთიანი საქართველო ყველა თაობისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არსებული 8 მილიარდიანი ბიუჯეტის 10 მილიარდამდე გასაზრდელად:

- ✔ დაუყოვნებლივ შეწყდება წნეხი ბიზნესზე და მოხდება ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია;

- ✔ აღმოიფხვრება ელიტური კორუფცია და ამოივსება ეკონომიკაში არსებული „შავი ხვრელები“ ბიზნეს-მონოპოლიების სახით;



- ✔ სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე შემოვიღებთ დიფერენცირებულ გადასახადს. ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის პრინციპი იქნება: „ნაკლები შემოსავალი – ნაკლები გადასახადი“. დაწესდება დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც გათანაბრდება საარსებო მინიმუმთან, ხოლო საშემოსავლო გადასახადი შემოსავლის მიხედვით 15–25% ფარგლებში იქნება, რაც დამატებით 350 მილიონამდე ლარის მობილიზების საშუალებას მოგვცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2 ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, დაფასებული პენსიონერი

## 2.9 მილიარდი ლარი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის:

- საპენსიო უზრუნველყოფა – 2.1 მილიარდი ლარი. ამ თანხაში შევა ვეტერანების პენსიებიც (60 მილიონი ლარი). ასაკობრივი პენსია 2014 წელს იქნება 200 ლარი, 2015 წელს – 220 ლარი, 2016 წელის - 240 ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 800 მილიონი ლარი: ბავშვები 18 წლამდე, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დევნილები მარჩენალდაკარგულები, სტუდენტები, მრავალშვილიანი ოჯახები, მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლები მიიღებენ დაზღვევის გაუმჯობესებულ პაკეტს, ხოლო ყველა სხვა მოქალაქე სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იქნება საბაზისო სამედიცინო მომსახურებით.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# 3 „განათლება დასაქმებისთვის“

1 მილიარდი ლარი განათლებაზე:

- ზოგადი განათლება – 690 მილიონი ლარი: სკოლის 50 000-მდე პედაგოგი მიიღებს მინიმალურ ხელფასს 900 ლარს, პორტატულ კომპიუტერებს და 600000 მოსწავლესთან ერთად – სასკოლო სახელმძღვანელოებს;

- უმაღლესი განათლება და სამეცნიერო კვლევების პროგრამა – 310 მილიონი ლარი (100 000 სტუდენტი მიიღებს დაფინანსების მინიმუმ ნახევარს ანუ 1125 ლარს, ხოლო მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, მაღალმთიანი რეგიონების სტუდენტები 100%-ით დაფინანსდებიან, გაოთხმაგდება სამეცნიერო გრანტების დაფინანსება);





## 4 მცირემიწიანი გლეხიდან კონკურენტუნარიან ფერმერამდე

1.1 მილიარდი ლარი სოფლის მეურნეობისთვის:

- ✓ აგრარული კოოპერატივების განვითარების პროგრამა – 550 მილიონი ლარი: სახელმწიფო წაახალისებს კოოპერაციის წესით მიწების გამსხვილებას, მოახდენს საწვავისა და სასუქის სუბსიდირებას, შეიძენს ტექნიკას და დააზღვევს მოსავალს; შედეგად ყოველწლიურად კოოპერაცია შექმნის 80 000 სამუშაო ადგილს;
- ✓ აგრარული ბანკი – 300 მილიონი ლარი: სახელმწიფო კოოპერაციულ მეურნეობებზე გასცემს გრძელვადიან და დაბალპროცენტიან კრედიტებს, პირველი სამი წელი კრედიტის ძირსაც და პროცენტსაც მთლიანად დაფარავს სახელმწიფო.
- ✓ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებისთვის შესაბამის სასაწყობე, სამაცივრე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას – 250 მილიონი ლარი.





## 5 მცირერიცხოვანი და პროფესიონალური არმია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯამური ბიუჯეტი იქნება არაუმეტეს 1 მილიარდი ლარისა (დღევანდელი 1,6 მილიარდის ნაცვლად):

- ✓ გაუქმდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა და ჯარი მთლიანად გადავა საკონტრაქტო სამსახურზე;
- ✓ 3-ჯერ შემცირდება შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა. ასევე შემცირდება შეიარაღებისა და აღჭურვილობის ხარჯები, რისი ნაწილიც მოხმარდება ოფიცერთა კორპუსის ნატო-ს სტანდარტებით განათლებას და სამხედრო ელიტის ჩამოყალიბებას. საქართველოს ეყოლება კარგად გაწვრთნილი პროფესიული არმია 10 000 კაცის ოდენობით, რომელიც მზად იქნება საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო იმავდროულად რამდენიმე ქვედანაყოფი განახორციელებს როტაციას საერთაშორისო მისიებში. რეზერვი განისაზღვრება 10 000 კაცის ოდენობით 2015 წლამდე, რის შემდეგაც რეზერვის რიცხოვნობა თანდათან გაიზრდება.



# (6) სამართლიანი ტარიფები ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მილიარდი ლარი იმისთვის, რომ დავიბრუნოთ ქართული ენერგეტიკა

- ✔ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია – გაგრძელდება ჰესების მშენებლობა, თუმცა გამომუშავებული იაფი ჰიდრო-ელექტრონერგია მოხმარდება ტარიფის დაწევას, ეკონომიკის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; სახელმწიფო უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების გაზიფიცირებას;
- ✔ განხორციელდება თელასის აქციების 75%-ისა და ენერგოპრო-ჯორჯიას წილის 100%-ის გამოსყიდვა – შედეგად ელექტროენერგიის ტარიფიდან მოხდება ინვესტიციის კომპონენტის ამოღება და ტარიფი კიდევ უფრო შემცირდება;
- ✔ მოხდება კუთვნილი ოფიციური გაზის მიღება შაჰ-დენიზიდან, თბოელექტროსადგურებისთვის გაზის შესყიდვაზე უარის თქმა და ამით გაზის ტარიფის საგრძნობი შემცირება.






# 7 ინფრასტრუქტურა ყველა ოჯახის კეთილდღეობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფრასტუქტურის განვითარება: 700 მილიონი ლარი – პირდაპირი საბიუჯეტო ხარჯი, 800 მილიონი ლარი – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, დამატებით – 1.5 მილიარდი ლარი:



- ✔ საგზაო ინფრასტუქტურის განვითარება 850 მილიონი ლარი, მათ შორის „გზა ყველა სოფელს“ – 400 მილიონი ლარი (3 წლის განმავლობაში დაიხარჯება 1.2 მილიარდი ლარი და ყველა სოფელს ექნება მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა);
- ✔ წყალმომარაგების სიტემის აღდგენა რეაბილიტაცია ანუ სასმელი წყალი ყველა ოჯახს – 250 მილიონი ლარი;
- ✔ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენა – 250 მილიონი ლარი;



- ✔ იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა, საკუთარი საცხოვრისებით უზრუნველყოფა, თვეში ყოველ სულზე 100 კვ. სთ. ელექტროენერგიის სუბსიდირების აღდგენა – 150 მილიონი ლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8 სახელმწიფო ვალების გარეშე

შიდა ვალების მომსახურება:

- ✓ კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროგრამა 60 მილიონი ლარი. 4 წლის განმავლობაში დაიხარჯება 240 მილიონი ლარი, აშენდება 100 კორპუსი და დაკმაყოფილდება 9000 დაზარალებული);
- ✓ 1998–2004 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების გასტუმრების პროგრამა – 35 მილიონი (სულ 2 წლის განმავლობაში გამოიყოფა 70 მილიონი ლარი);
- ✓ რეგრესის პენსიონერების დავალიანების გასტუმრება – 2 მილიონი ლარი.



## 9 მართლმადიდებლობა – უპირატესი თანასწორთა შორის

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოფს საქართველოში არსებული ყველა ტრადიციული რელიგიური კონფესიის თანასწორობა და პატივისცემა. თითოეული მოქალაქის ხელშეუხებელ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მისი რელიგიური აღმსარებლობა. იმავდროულად, მართლმადიდებელ ქრისტიანობას, როგორც საქართველოსთვის განსაკუთრებული ისტორიული როლის მქონე აღმსარებლობას, კონსტიტუციურად მიენიჭება უპირატესი რელიგიის სტატუსი, შესაბამისად:



- ✓ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საბიუჯეტო დაფინანსება გაოთხმაგდება – გამოიყოფა 100 მილიონი ლარი;



- ✓ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იქნება სახელმწიფოს უმთავრესი პარტნიორი სოციალური პროექტების განხორციელებისას;

10

# შეინარჩუნე და განავითარე

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა:



- ✓ ხელოვნება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – 105 მილიონი ლარი;

- ✓ სპორტისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა – 95 მილიონი ლარი.



## ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მისია:

- ✓ ქვეყნის გამთლიანება, ქრისტიანობაზე დაფუძნებული ტრადიციებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება;
- ✓ დემოკრატიული და დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება;
- ✓ ყველა თაობის ადამიანზე თანაბრად ზრუნვა და თითოეული ქართული ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება;

ეროვნული ბიბლიოთეკა
165/6
PX4620/1



[illegible] 10; ტირაჟი: 5 000 ცალი; [illegible] 25 ივლისი 2012 წ.

## სამართლიანი ტარიფები ხალხს!